



საქართველო

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების კომისიის თავმჯდომარე

საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: 595 30 63 31; №1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: 551 54 15 64, lelalolo@mail.ru

N 114
28/09/2017

114-03-4-201709282131



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 სექტემბრის №417 დადგენილების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. განისაზღვროს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების კომისია (შემდგომში კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლელა ნაცვალაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ნინო ტაბატაძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა, გენდერული, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ირინე საჯაია - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - კომისიის მდივანი;

დ) ეკატერინა კობახიძე - პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიული კავშირის კოორდინატორი გურიის რეგიონში, გაერთიანებული პროფესიული კავშირების ტრენერი - კომისიის წევრი;

ე) ნინო გოგუაძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის წევრი;

ვ) ანა ჩუბინიძე - ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;


ზ) თამარ კილურაძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საოქმო მომსახურების და საქმის წარმოების საკითხებში - კომისიის წევრი;

2. კომისიამ თავისი საქმიანობა წარმართოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და „2017 წელს გასაუქმებელი მუნიციპალიტეტების პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 სექტემბრის N417 დადგენილების შესაბამისად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ლელა ნაცვალაძე



საჯარო მოხელეთა შეფასების კომისიის თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა